

ბანკმართვის ბარათი

„პატიმრობის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

პატიმრობის კოდექსში არსებული ხარვეზები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია:

1. ადგილობრივი საბჭოების წევრთა უფლებამოსილების ვადის შემცირება, მაგრამ ამასთანავე მათი განმეორებით ერთი ვადით დანიშვნის შესაძლებლობა.
2. ფსიქიატრიული აშლილობის მქონე მსჯავრდებულთა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილში შედის ცვლილება, რომლითაც ადგილობრივი საბჭოების წევრთა უფლებამოსილების ვადა 3 წლიდან მცირდება 6 თვემდე და შესაძლებელი იქნება მათი განმეორებით კიდევ ერთი ვადით დანიშვნა.

პროექტი ასევე ითვალისწინებს კოდექსის 122-ე მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანას, რომლითაც სავალდებულო გახდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის შემდეგ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება და ამ უკანასკნელის დასკვნის საფუძველზე ფსიქიატრიული აშლილობის მქონე მსჯავრდებულთა გადაგზავნა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ასეთი პირები არ არსებობენ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

პროექტით რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი გათვალისწინებული არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.